საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დილიფის განძი

დილიფის განძი, VII–IX სს. ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1949 სოფ. დილიფში (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი).

შემორჩენილია 14 მონეტა და 19 ნატეხი. განძის დიდი ნაწილი დაკარგულია. 1 მონეტა სასანური დრაქმაა, 1 – არაბულ-სასანური, ხოლო დანარჩენი ომაიანთა და აბასიანთა დირჰემებია. მონეტების ქრონოლ. ჩარჩოა 620–833 წწ. (ჰიჯრით).

ლიტ.: ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სამონეტო განძები, [ტ.] 1, თბ., 1976.

გ. დუნდუა